საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დავით მეტრეველი

დრეკადობისა და თერმოდრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა კონკრეტული არეების შემთხვევაში

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“ შიფრი 0501

თბილისი

2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

მათემატიკის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფ. ლევან გიორგაშვილი

რეცენზენტები: ______________________________

____

დაცვა შედგება ---------- წლის „--------„ --------------------, ----- საათზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის -------------------------------------- -------------------- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი ------, აუდიტორია ----------

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი პროფ. თინათინ კაიშაური

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა და გამოყენების სფერო . კლასიკური დრეკადობის თეორიის მათემატიკური მოდელი არ ითვალისწინებს ტემპერატურულ ცვლილებებს, მაგრამ სხეულის დეფორმაციას თან სდევს ტემპერატურის ცვლილება, ხოლო ტემპერატურის ცვლილებას, მაშინაც კი, როცა სხეულზე არ მოქმედებს გარე ძალები, თან სდევს მისი დეფორმაცია. ტემპერატურული ველისა და დეფორმაციის ველის სხვადასხვა პირობის გათვალისწინებით ვღებულობთ დრეკადობის თეორიის სხვადასხვა მოდელს: თერმოდრეკადობის არაბმული თეორია, თერმოდრეკადობის ბმული თეორია, განზოგადებული თერმოდრეკადობა და სხვა.

უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში ინტენსიურად დაიწყო გამოკვლევები ტემპერატურულ ძაბვათა თეორიასთან შედარებით უფრო ზოგადბმულ თერმოდრეკადობის თეორიაში, სადაც გათვალისწინებულია დეფორმაციისა და ტემპერატურული ველების ურთიერთქმედება. არსებობს კლასიკური თერმოდრეკადობის თეორიის ორი სხვადასხვა განზოგადება: გრინ-ლინდსეის და ლორდ-შულმანის. ამასთან პირველს ტემპერატურული პროცესისათვის შემოაქვს რელაქსაციის ორი კოეფიციენტი, ხოლო მეორეს კი - ერთი. რელაქსაციის მუდმივობის შემოტანა საგრძნობლად ართულებს ძირითად დეფრენციალურ განტოლებათა სისტემებს, რის გამოც საკმარისად რთულდება განტოლებათა ამოცანების შესწავლა. ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს თ. ბურჭულაძის, თ.გეგელიას, ლ. გიორგაშვილის, კ. დაფერმოსის, შ.ზაზაშვილის, ლ. იენტჩის, დ. ნატროშვილის, ვ. ნოვაცკის, მ.სვანაძის და სხვათა შრომები.

გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან, კ. ტრუსდელმა და რ. ტუპინმა თავიანთ შრომებში პირველად ჩამოაყალიბეს რთული შინაგანი სტრუქტურის მქონე დრეკადი სხეულებისთვის ახალი მოდელის ძირითადი მექანიკური პრინციპები და საფუძველი ჩაუყარეს დრეკადი სხეულების ნარევთა კონტინუალურ თეორიას. შემდგომში ეს თეორია განზოგადდა და განვითარდა სხვადასხვა მიმართულებით. კინემატიკური და

თერმოდინამიკური პრინციპების საფუძველზე შეიქმნა შემდეგი ტიპის ორკომპონენტიან ნარევთა თეორია: სითხე - სითხე, სითხე-მყარი სხეული, მყარი სხეული- მყარი სხეული.

დრეკადი ნარევისათვის (მყარი სხეული - მყარ სხეულთან) პირველი მათემატიკური მოდელი, ე.წ. დიფუზიური მოდელი, ააგეს ა. გრინმა და ტ. სტილმა 1966 წელს. ამ მოდელში კომპონენტებს შორის ურთიერთქმედების ძალა დამოკიდებულია კერძო გადაადგილებების სიჩქარეთა სხვაობაზე. იმავე წელს მათ მიერ აგებულია დრეკად ნარევთა თერმოდრეკადობის ერთტემპერატურიანი თეორიის დიფუზიური მოდელი.

ორტემპერატურიან დრეკად ნარევთა თერმოდრეკადობის წრფივი თეორიის მათემატიკური მოდელი მარცვლოვანი, ბოჭკოვანი და ფენოვანი სტრუქტურების მქონე კომპოზიტებისათვის 1984 წელს აგებულ იქნა ლ. ხოროშუნისა და ნ. სოლტანოვის მიერ.

დრეკადობის და თერმოდრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანების ამოხსნის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია ფურიეს მეთოდი, რომელიც ეფუძნება მოცემული ძირითადი დიფერენციალური განტოლების ამოხსნას ცვლადთა განცალების მეთოდით გარკვეულ მრუდწირულ კორდინატთა სისტემის მიმართ. დრეკადობისა და თერმოდრეკადობის სტატიკისა და სტაციონარული რხევის შესაბამისი ერთგვაროვანი დიფერენციალური განტოლებათა სისტემების ამოხსნები წარმოიდგინებიან ჰარმონიული, ბიჰარმონიული (სტატიკის შემთხვევაში) და მეტაჰარმონიული (რხევის შემთხვევაში) ფუნქციების საშუალებით. ამ მიმართულებით დრეკადობის კლასიკურ თეორიაში საყოველთაოდაა ცნობილი უ. კელვინის, ჟ. ადამარის, ჟ. ბუსინესკის, მ. პაპკოვიჩის, გ. ნეიბერის, ე. ტრეფტცის, მ. სლობოდიანსკის, კოლოსოვ - მუსხელიშვილის და სხვათა შრომები, რომლებშიც გადაადგილების ვექტორი წარმოდგენილია ჰარმონიული და ბიჰარმონიული ფუნქიებით. აღნიშნული წარმოდგენები საშუალებას იძლევა განვავითაროთ ცვლადთა განცალების მეთოდი (გარკვეულ მრუდწირულ კორდინატთა სისტემის მიმართ) დრეკადობის თეორიაში კანონიკური ზედაპირე-

ბით შემოსაზღვრული არეების შემთხვევაში. ამ მეთოდით სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის მთელი სირთულე გადატანილია სასაზღვრო პირობების დაკმაყოფილებაზე. სასაზღვრო პირობების დაკმაყოფილების ერთ-ერთი მიდგომა მოცემულია ა. ულიტკოს, პ. მორსის და ჰ. ფეშბახის, მ. ბაშელეიშვილის, ლ. გიორგაშვილის, დ. ნატროშვილის და სხვათა შრომებში.

სამუშაოს მიზანი, კვლევის ობიექტი და მეთოდები, ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე. სამგანზომილებიან ორკომპონენტიან დრეკად ნარევთა წრფივი თეორიის სტატიკის ერთგვაროვან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემას აქვს სახე

$$a_1\Delta u' + b_1 graddivu' + c\Delta u'' + dgraddivu'' = 0, \tag{1}$$

$$c\Delta u' + dgraddivu' + a_2\Delta u'' + b_2 graddivu'' = 0,$$

სადაც $u' = (u_1', u_2', u_3')^\mathsf{T}$, $u'' = (u_1'', u_2'', u_3'')^\mathsf{T}$ კერძო გადაადგილების ვექტორებია, Δ ლაპლასის სამგანზომილებიანი ოპერატორია, T ტრანსპონირების სიმბოლოა, $a_j, b_j, c, d,\ j = 1,2$ გარკვეული ფიზიკური მუდმივებისგან შედგენილი მუდმივებია რომლებისთვისაც სამართლიანია შემდეგი უტოლობები

$$d_1 := a_1 a_2 - c^2 > 0,\ d_2 := (a_1 + b_1)(a_2 + b_2) - (c + d)^2 > 0,\quad a_1 > 0,\ a_1 + b_1 > 0 .$$

ორტემპერატურიან დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის დიფერენციალურ განტოლებათა ერთგვაროვან სასტემას, როცა ნარევში შემავალი ორი დრეკადი სხეულის კერძო გადაადგილებები ერთმანეთის ტოლია, აქვს შემდეგი სახე

$$\mu\Delta u + (\lambda + \mu) graddivu - grad(\eta_1 \vartheta_1 + \eta_2 \vartheta_2) = 0, \tag{2}$$

$$\kappa_1 \Delta \vartheta_1 + \kappa_2 \Delta \vartheta_2 - \alpha(\vartheta_1 - \vartheta_2) = 0,$$

$$\kappa_2 \Delta \vartheta_1 + \kappa_3 \Delta \vartheta_2 + \alpha(\vartheta_1 - \vartheta_2) = 0, \tag{3}$$

სადაც $u = (u_1, u_2, u_3)^\mathsf{T}$ არის კომპოზიტურ მასალაში შემავალი ორი მყარი სხეულის ერთმანეთის ტოლი გადაადგილების ვექტორი, $\vartheta_1,\ \vartheta_2$ მყარი სხეულების ტემპერატურების ცვლილებებია, $\alpha,\ \kappa_j,\ j = 1,2,3$ გარკვეული ფიზიკური მუდმივებია, $\lambda,\ \mu$ დრეკადი მუდმივებია, η_1, η_2 თერმული

პროცესების დამახასიათებელი მუდმივებია, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ უტოლობებს

$$\mu > 0,\ 3\lambda + 2\lambda > 0\ ,\ \kappa_1\kappa_3 - \kappa_2^2 > 0,\ \mu_j > 0,\ \ j = 1,2\ .$$

ჩვენი კვლევის მთავარი საგანია (1) - (3) დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისთვის არაკლასიკური სასაზღვრო ამოცანების შესწავლა ნახევარ სივრცისათვის. მიგნებულია ახალი მეთოდი, რომლის საშუალებითაც ნახევარ სივრცისათვის არაკლასიკური სასაზღვრო ამოცანების შესწავლა დაიყვანება ჰარმონიული ფუნქციისათვის დირიხლესა და ნეიმანის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნაზე, რაც არსებითად ამარტივებს ამ ამოცანების შესწავლას. ამოცანები მიღებულია კვადრატურებში. (2)-(3) დიფერენციალურ განტოლებათა სისტემისათვის შესწავლილია არაკლასიკური ამოცანები ბირთვისათვის და მთელი სივრცისათვის ბირთვული ღრუთი, ასევე მთელი სივრცისათვის ურთიერთ არაგადამკვეთი ორი ბირთვული ღრუთი და ნახევარ სივრცისათვის ბირთვული ღრუთი. მიღებულია (2)-(3) სისტემის ამონახსნის ზოგადი წარმოდგენის ფორმულა გამოსახული ოთხი ჰარმონიული და ერთი მეტაჰარმონიული ფუმქციების საშუალებით. ამ წარმოდგენის საშუალებით ამოცანების ამოხსნები მიღებულია აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით. გრინის ფორმულების გამოყენებით დამტკიცებულია ყველა ამოცანისთვის ერთადერთობის თეორემები. გარე ამოცანების შემთხვევაში ერთადერთობის თეორემების დამტკიცების დროს საჭირო ხდება ამონახსნთა კლასის დაზუსტება და ისეთი ასიმპტოტური პირობების დადგენა უსასრულობაში, რომელიც უზრუნველყოფს ერთადერთობის თეორემების დამტკიცებას, გრინის ფორმულების გამოყენებას. დისერტაციაში ეს პრობლემა წარმატებითაა გადაჭრილი.

ნაშრომის აპრობაცია. დისერტაციაში გადმოცემული შედეგები მოხსენებული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის მრავალ სემინარზე. ამასთანავე, აღნიშნული შედეგები ასახულია ავტორის პუბლიკაციებში და მოხსენებულ იქნა საერთაშორისო

კონფერენციებზე, რომელთა ნუსხაც თან ერთვის ავტორეფერატს. გარდა ამისა, სადოქტორო პროგრამის გეგმის შესაბამისად მომზადდა და ჩატარდა თემატური კოლოკვიუმები და სემინარები დისერტაციის ძირითადი შედეგების შესახებ.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. დისერტაცია მოიცავს რეზიუმეს (ქართულ და ინგლისურ ენაზე), შესავალს, ოთხ თავს, ოცდაორ პარაგრაფს, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას (51 დასახელება) დისერტაცია მოიცავს 146 ნაბეჭდ გვერდს.

დისერტაციის შინაარსი

თავი I. ზოგიერთი აღნიშვნა და თეორემები

პირველ თავში მოყვანილია ზოგიერთი დამხმარე თეორემა და ფორმულა. კერძოდ მოყვანილია, თუ რა სახე აქვს ორ კომპონენტიან დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის დიფერენციალურ განტოლებათა ერთგვაროვან სისტემას, ასევე ორტემპერატურიან დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის დიფერენციალურ განტოლებათა ერთგვაროვან სისიტემას, როდესაც ნარევში მონაწილე დრეკადი სხეულების კერძო გადაადგილებები ერთმანეთის ტოლია. ამავე თავში მიღებულია ორტემპერატურიან დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის ერთგვაროვან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამოხსნის ზოგადი წარმოდგენის ფორმულა, რომელიც გამოსახულია ოთხი ჰარმონიული და ერთი მეტაჰარმონიული ფუნქციების საშუალებით.

ამავე თავში ამოწერილია, როგორც ორკომპონენტიან, ასევე ორტემპერატურიან (როცა კერძო გადაადგილებები ერთმანეთის ტოლია) დრეკად ნარევთა თეორიის ველის ძირითადი მახასიათებლები, კერძოდ შემოტანილია ძაბვის ვექტორები, რომლებსაც გააჩნიათ შემდეგი სახე

$$\mathrm{T}(\partial,n)U=\left[\mathrm{P}^{(1)}(\partial,n)U,\mathrm{P}^{(2)}(\partial,n)U\right]^{\mathrm{T}}, \tag{4}$$

სადაც $U=(u',u'')^{\mathrm{T}}$,

$$\mathrm{P}^{(1)}(\partial,n)U=\mathrm{T}^{(1)}(\partial,n)u'+\mathrm{T}^{(2)}(\partial,n)u'',\qquad \mathrm{P}^{(2)}(\partial,n)U=\mathrm{T}^{(3)}(\partial,n)u'+\mathrm{T}^{(4)}(\partial,n)u'',$$

$$\mathrm{T}^{(1)}(\partial,n)u'=2\mu_1\frac{\partial u'}{\partial n}+\left(\lambda_1-\frac{\rho_2}{\rho}\alpha'\right)n\,divu'+(\mu_1+\lambda_5)[n\times rotu'],$$

$$\mathrm{T}^{(2)}(\partial,n)u''=2\mu_3\frac{\partial u''}{\partial n}+\left(\lambda_3-\frac{\rho_1}{\rho}\alpha'\right)n\,divu''+(\mu_3-\lambda_5)[n\times rotu''],$$

$$\mathrm{T}^{(3)}(\partial,n)u'=2\mu_3\frac{\partial u'}{\partial n}+\left(\lambda_3-\frac{\rho_1}{\rho}\alpha'\right)n\,divu'+(\mu_3-\lambda_5)[n\times rotu'],$$

$$\mathrm{T}^{(4)}(\partial,n)u''=2\mu_2\frac{\partial u''}{\partial n}+\left(\lambda_2+\frac{\rho_1}{\rho}\alpha'\right)n\,divu''+(\mu_2+\lambda_5)[n\times rotu''],$$

$n=(n_1,n_2,n_3)^{\mathsf{T}}$ არის ერთეულოვანი ვექტორი, $[a\times b]$ სიმბოლო აღნიშნავს ორი ვექტორის ვექტორულ ნამრავლს $\mathbb{R}^3$-ში, $\dfrac{\partial}{\partial n}=\sum\limits_{j=1}^{3}n_j\dfrac{\partial}{\partial x_j}$.

ვთქვათ $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathsf{T}}$. ძაბვის ვექტორს, რომელსაც $\mathrm{P}(\partial,n)U$ სიმბოლოთი აღვნიშნავთ აქვს შემდეგი სახე

$$\mathrm{P}(\partial,n)U=\mathrm{T}(\partial,n)u-n(\eta_1\vartheta_1+\eta_2\vartheta_2),\tag{5}$$

სადაც n არის ერთეულოვანი ვექტორი, ხოლო

$$\mathrm{T}(\partial,n)u=2\mu\frac{\partial u}{\partial n}+\lambda n\,divu+\mu[n\times rotu]\,.$$

ამავე თავში დამტკიცებულია შემდეგი თეორემები:

თეორემა 1.10. იმისათვის, რომ $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathsf{T}}$ ვექტორი იყოს (2)-(3) სისტემის რეგულარული ამონახსნი $\Omega\subset\mathbb{R}^3$ არეში, აუცილებელი და საკმარისია, რომ იგი წარმოიდგინებოდეს შემდეგი სახით:

$$u(x)=grad\Phi_1(x)-agradr^2\left(r\frac{\partial}{\partial r}+1\right)\Phi_2(x)+rotrot\left(xr^2\Phi_2(x)\right)+$$
$$rot\left(x\Phi_3(x)\right)+(\eta_1+\eta_2)x\Phi_4(x)+a_1grad\Phi_5(x),$$

$$\vartheta_1(x)=\left[(\lambda+\mu)r\frac{\partial}{\partial r}+3\lambda+5\mu\right]\Phi_4(x)+(\lambda+2\mu)\lambda_1^2(\kappa_2+\kappa_3)\Phi_5(x),\tag{6}$$

$$\vartheta_2(x)=\left[(\lambda+\mu)r\frac{\partial}{\partial r}+3\lambda+5\mu\right]\Phi_4(x)-(\lambda+2\mu)\lambda_1^2(\kappa_1+\kappa_2)\Phi_5(x),$$

სადაც $\Delta\Phi_j\ (x)=0,\quad j=1,2,3,4,\quad (\Delta-\lambda_1^2)\Phi_5(x)=0,\quad \lambda_1^2=\alpha(\kappa_1+\kappa_3+2\kappa_2)/d',$

$$d' = \kappa_1\kappa_3 - \kappa_2^2, \quad a = \mu/(\lambda + 2\mu), \; a_1 = \eta_1(\kappa_2 + \kappa_3) - \eta_2(\kappa_1 + \kappa_2),$$

$$x = (x_1, x_2 x_3)^{\mathsf{T}}, \quad r = |x|, \; r\frac{\partial}{\partial r} = x \cdot grad.$$

აღვნიშნოთ Ω^+-ით ბირთვი, რომელიც შემოსაზღვრულია $\partial\Omega$ სფერული ზედაპირით, ცენტრით კოორდინატთა სათავეში და რადიუსით R. $\Omega^- := \mathbb{R}^3 \setminus \overline{\Omega}^+$

თეორემა 1.11. $U = (u, \vartheta_1, \vartheta_2)^{\mathsf{T}}$ ვექტორი წარმოდგენილი (6) სახით ცალსახად იქნება განსაზღვრული $\Omega^+(\Omega^-)$ არეში $\Phi_j(x), j = \overline{1,5}$ ფუნქციებით, თუ სრულდება შემდეგი პირობა

$$\int_{\Sigma_r} \Phi_j(x) d\sum\nolimits_r = 0, \quad j = 1,3, \quad r = |x| < R, \tag{7}$$

$$\int_{\Sigma_r} \Phi_j(x) d\sum\nolimits_r = 0, \quad j = 2,3, \quad r = |x| > R, \tag{8}$$

ე.ი. $U = (u, \vartheta_1, \vartheta_2)^{\mathsf{T}}$ ვექტორის ნულოვან მნიშვნელობას შეესაბამება $(\Phi_1, \Phi_2, ..., \Phi_5)^{\mathsf{T}}$ ვექტორის ნულოვანი მნიშვნელობა და პირიქით.

თეორემა 1.12. თუ (2)-(3) სისტემის $U = (u, \vartheta_1, \vartheta_2)^{\mathsf{T}}$ ამონახსნი უსას-რულოდ დაშორებული წერტილის მახლობობაში აკმაყოფილებს ქრობის შემდეგ პირობას

$$u(x) = O(1), \quad \vartheta_j(x) = O\left(|x|^{-1}\right), \quad j = 1,2,$$

$$\lim_{r\to\infty} \frac{1}{4\pi r^2} \iint_{\Sigma_r} n(x) \cdot u(x) d\sum\nolimits_r = 0, \tag{9}$$

მაშინ უსასრულობაში მას გააჩნია შემდეგი ასიმპტოტიკა

$$u(x) = O\left(|x|^{-1}\right), \quad \partial_k u(x) = O\left(|x|^{-2}\right), \quad \vartheta_j(x) = O\left(|x|^{-2}\right), j = 1,2, k = 1,2,3.$$

(7)-(9)-ში $\sum_r$ არის სფერული ზედაპირი ცენტრით კოორდინატთა სათავეში და რადიუსით r.

თავი II. არაკლასიკური სასაზღვრო ამოცანები სფერული ზედაპირით შემოსაზღვრული არეებისათვის

მეორე თავში, პირველ თავში მიღებული ზოგადი ამოხსნის წარმოდგენის ფორმულის საშუალებით, ამოხსნილია ორტემპერატურიანი დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის დიფერენციალურ განტოლებათა ერთგვაროვანი სისტემისა-თვის არაკლასიკური სასაზღვრო ამოცანები ბირთვისათვის და უსასრულო სივრცისათვის ბირთვული ღრუთი. კერძოდ შესწავლილია შემდეგი ამოცანები:

ამოცანა $(III)^{\pm}$. ვიპოვოთ $\Omega^{+}\left(\Omega^{-}\right)$ არეში (2) –(3) განტოლებათა სისტემის ისეთი რეგულარული ამონახსნი $U=\left(u,\vartheta_1,\vartheta_2\right)^{\mathrm{T}}$ რომელიც $\partial\Omega$ საზღვარზე აკმაყოფილებს შემდეგი სასაზღვრო პირობებიდან ერთ-ერთს

$$\{n(z)\cdot u(z)\}^{\pm}=f_4(z),\qquad z\in\partial\Omega,$$

$$\{\mathrm{P}(\partial,n)U(z)-n(z)(n(z)\cdot\mathrm{P}(\partial,n)U(z))\}^{\pm}=f\ (z),\qquad z\in\partial\Omega,\tag{10}$$

$$\{\vartheta_1(z)\}^{\pm}=f_5(z),\qquad \{\vartheta_2(z)\}^{\pm}=f_6(z),\qquad z\in\partial\Omega,\tag{11}$$

ან

$$\left\{\frac{\partial\vartheta_1(z)}{\partial n(z)}\right\}^{\pm}=f_5(z),\ \left\{\frac{\partial\vartheta_2(z)}{\partial n(z)}\right\}^{\pm}=f_6(z),\ z\in\partial\Omega,\tag{12}$$

სადაც $f=\left(f_1,f_2,f_3\right)^{\mathrm{T}}$, f_j, $j=1,2,....,6$ $\partial\Omega$ საზღვარზე მოცემული ფუნქციებია, $n(z)$ არის $z\in\partial\Omega$, წერტილში გამავალი Ω^{+} არის მიმართ გარე ნორმალის ორტი, $\mathrm{P}(\partial,n)U$ ძაბვის ვექტორს აქვს (5) სახე.

უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში $U(x)$ ვექტორი აკმაყოფილებს ქრობის შემდეგ პირობებს:

$$u(x)=O(1),\qquad \vartheta_j(x)=O\left(|x|^{-1}\right),\qquad j=1,2,\tag{13}$$

$$\lim_{r\to\infty}\frac{1}{4\pi r^2}\int_{\sum_r}n(x)\cdot u(x)d\sum{}_r=0,\tag{14}$$

$(III)^{\pm}$ ამოცანა (10), (11) სასაზღვრო პირობით აღვნიშნოთ $(\mathrm{III}\cdot\mathrm{I})^{\pm}$ სიმბოლოთი, ხოლო (10), (12) სასაზღვრო პირობით კი $(\mathrm{III}\cdot\mathrm{II})^{\pm}$ სიმბოლოთი.

ამოცანა $(IV)^{\pm}$. ვიპოვოთ $\Omega^{+}(\Omega^{-})$ არეში (1.5)-(1.6) განტოლებათა სისიტემის ისეთი რეგულარული ამონახსნი $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\top}$, რომელიც $\partial\Omega$ საზღვარზე აკმაყოფილებს შემდეგი სასაზღვრო პირობებიდან ერთ-ერთს

$$\{n(z)\cdot \mathrm{P}(\partial,n)U(z)\}^{\pm}=f_4(z),\qquad z\in\partial\Omega,$$

$$\{u(z)-n(z)(n(z)\cdot u(z))\}^{\pm}=f(z),\quad z\in\partial\Omega,\tag{15}$$

$$\{\vartheta_1(z)\}^{\pm}=f_5(z),\qquad \{\vartheta_2(z)\}^{\pm}=f_6(z),\quad z\in\partial\Omega,\tag{16}$$

ან

$$\left\{\frac{\partial\vartheta_1(z)}{\partial n(z)}\right\}^{\pm}=f_5(z),\quad \left\{\frac{\partial\vartheta_2(z)}{\partial n(z)}\right\}^{\pm}=f_6(z),\ z\in\partial\Omega,\tag{17}$$

სადაც $f=(f_1,f_2,f_3)^{\top}$, f_j, $j=1,2,....,6$ $\partial\Omega$ საზღვარზე მოცემული ფუნქციებია, $n(z)$ არის $z\in\partial\Omega$, წერტილში გამავალი Ω^{+} არის მიმართ გარე ნორმალის ორტი. $\frac{\partial}{\partial n(z)}$ არის ნორმალის მიმართულებით წარმოებული.

უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში $U(x)$ ვექტორი აკმაყოფილებს ქრობის (13)-(14) პირობებს.

$(IV)^{\pm}$ ამოცანა (15)-(16) სასაზღვრო პირობით აღვნიშნოთ $(IV\cdot I)^{\pm}$ სიმბოლოთი, ხოლო (15),(17) სასაზღვრო პირობით კი $(IV\cdot II)^{\pm}$ სიმბოლოთი.

ამოცანა $(N)^{\pm}$. ვიპოვოთ $\Omega^{+}(\Omega^{-})$ არეში (2)-(3) განტოლებათა სისტემის ისეთი რეგულარული ამონახსნი $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\top}$, რომელიც $\partial\Omega$ საზღვარზე აკმაყოფილებს შემდეგი სასაზღვრო პირობებიდან ერთ-ერთს

$$\{n(z)\cdot u(z)\}^{\pm}=f_4(z),\quad \{n(z)\times rotu(z)\}^{\pm}=f\ (z),\quad z\in\partial\Omega,\tag{18}$$

$$\{\vartheta_1(z)\}^{\pm}=f_5(z),\qquad \{\vartheta_2(z)\}^{\pm}=f_6(z),\quad z\in\partial\Omega,\tag{19}$$

ან

$$\left\{\frac{\partial\vartheta_1(z)}{\partial n(z)}\right\}^{\pm}=f_5(z),\quad \left\{\frac{\partial\vartheta_2(z)}{\partial n(z)}\right\}^{\pm}=f_6(z),\quad z\in\partial\Omega,\tag{20}$$

სადაც $f=(f_1,f_2,f_3)^{\top}$, f_j, $j=1,2,....,6$ $\partial\Omega$ საზღვარზე მოცემული ფუნქციებია.

უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში $U(x)$ ვექტორი აკმაყოფილებს ქრობის (13)-(14) პირობებს.

$(N)^{\pm}$ ამოცანა (18)-(19) სასაზღვრო პირობით აღვნიშნოთ $(N\cdot\mathrm{I})^{\pm}$ სიმბოლოთი, ხოლო (18), (20) სასაზღვრო პირობით კი $(N\cdot\mathrm{II})^{\pm}$ სიმბოლოთი.

ვთქვათ Ω^+ არე შევსებულია ორკომპონენტიანი დრეკადი კომპოზიტური მასალით, ხოლო Ω^- სკალარული ველი განსაზღვრულია ჰარმონიული ფუნქციით.

ამოცანა (C). ვიპოვოთ Ω^+ არეში (2)-(3) განტოლებათა სისტემის ისეთი რეგულარული $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathrm{T}}$ ამონახსნი და Ω^- არეში ისეთი რეგულარული ჰარმონიული $v(x)$ ფუნქცია, რომლებიც $\partial\Omega$ საზღვარზე აკმაყოფილებს შემდეგ საკონტაქტო პირობებს

$$\{n(z)\cdot u(z)\}^{+}-d_1\left\{\frac{\partial v(z)}{\partial n(z)}\right\}^{-}=f_4(z),\quad z\in\partial\Omega,$$

$$\{\mathrm{P}(\partial,n)U(z)\}^{+}-d_2\{n(z)v(z)\}^{-}=f(z),\quad z\in\partial\Omega, \tag{21}$$

$$\{\vartheta_1(z)\}^{+}=f_5(z),\qquad \{\vartheta_2(z)\}^{+}=f_6(z),\quad z\in\partial\Omega, \tag{22}$$

ან

$$\left\{\frac{\partial\vartheta_1(z)}{\partial n(z)}\right\}^{+}=f_5(z),\qquad \left\{\frac{\partial\vartheta_2(z)}{\partial n(z)}\right\}^{+}=f_6(z),\quad z\in\partial\Omega, \tag{23}$$

სადაც $f=(f_1,f_2,f_3)^{\mathrm{T}}$, f_j, $j=1,2,....,6$ საზღვარზე მოცემული ფუნქციებია, d_1 და d_2 მუდმივებია, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას $d_1d_2>0$.

უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში $v(x)$ ფუნქცია აკმაყოფილებს ქრობის შემდეგ პირობას

$$v(x)=O\left(|x|^{-1}\right)\quad \frac{\partial v(x)}{\partial x_k}=O\left(|x|^{-2}\right),\quad |x|\to\infty. \tag{24}$$

(C) ამოცანა (21)-(22) სასაზღვრო პირობებით აღვნიშნოთ $(C\cdot\mathrm{I})$ სიმბოლოთი, ხოლო (21)- (23) სასაზღვრო პირობებით კი $(C\cdot\mathrm{II})$ სიმბოლოთი.

გრინის ფორმულების გამოყენებით დამტკიცებულია ერთადერთობის შემდეგი თეორემები:

თეორემა 2.1. თუ $(III)^{\pm}$ ამოცანას გააჩნია ამონახსნი, მაშინ $(III)^{-}$ და $(III.I)^{+}$ ამოცანას გააჩნია ერთადერთი ამონახსნი, ხოლო $(III.II)^{+}$

ამოცანის ნებისმიერი ამონახსნი განისაზღვრება $u(x)=[b\times x]$, $\vartheta_1(x)=c$, $\vartheta_2(x)=c$, შესაკრების სიზუსტით, სადაც b სამგანზომილებიანი მუდმივი ვექტორია, c ნებისმიერი მუდმივია.

თეორემა 2.2. თუ $(IV)^{\pm}$ ამოცანას გააჩნია ამონახსნი, მაშინ იგი ერთადერთია.

თეორემა 2.3. თუ $(N)^{\pm}$ ამოცანას გააჩნია ამონახსნი, მაშინ $(N\cdot\mathrm{I})^{+}$ და $(N)^{-}$ ამოცანას გააჩნია ერთადერთი ამონახსნი, ხოლო $(N\cdot\mathrm{II})^{+}$ ამოცანის ნებისმიერი ამონახსნი განისაზღვრება $u(x)=0$, $\vartheta_1(x)=\vartheta_2(x)=C=const$, შესაკრების სიზუსტით.

თეორემა 2.4. თუ (C) ამოცანას გააჩნია ამონახსნი, მაშინ $(C\cdot\mathrm{I})$ ამოცანის ნებისმიერი ამონახსნი განისაზღვრება $u(x)=[a'\times x]$, $v(x)=0$, $\vartheta_j(x)=0,\ j=1,2$ შესაკრების სიზუსტით, ხოლო $(C\cdot\mathrm{II})$ ამოცანის ამონახსნი კი $u(x)=[a'\times x]+\dfrac{\sigma C'}{R}x$, $v(x)=-\dfrac{\sigma C' R^2}{d_1|x|}$, $\vartheta_1(x)=\vartheta_2(x)=C'$, შესაკრების სიზუსტით, სადაც a' სამგანზომილებიანი ნებისმიერი მუდმივი ვექტორია, C' ნებისმიერი მუდმივია, ხოლო

$$\sigma=d_1R(\eta_1+\eta_2)/\left(d_1(3\lambda+2\mu)+R^2d_2\right).$$

დასმული ამოცანების ამოხსნები მიღებულია მწკრივების სახით. სასაზღვრო ვექტორ-ფუნქციებზე მოთხოვნილია სიგლუვის ის საკმარისი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიღებული მწკრივების აბსოლუტურად თანაბრად კრებადობას.

თავი III. დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის სასაზღვრო ამოცანები ნახევარ სივრცისათვის

მესამე თავში შესწავლილია დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის არაკლასიკური ამოცანები ნახევარ - სივრცისათვის. ამოცანების ამოხსნები წარმოდგენილია კვადრატურებში სასაზღვრო ვექტორ-ფუნქციების საშუალებით.

აღვნიშნოთ Ω^{-}-ით $x_3>0$ ნახევარ - სივრცე, ხოლო $\partial\Omega$ -თი $x_3=0$ სიბრტყე

ამოცანა (M).ვიპოვოთ Ω^{-} არეში (1) სისტემის ისეთი რეგულარული $U=(u',u'')^{\mathrm{T}}$ ამონახსნი, რომელიც $\partial\Omega$ საზღვარზე აკმაყოფილებს შემდეგი სასაზღვრო პირობებიდან ერთ-ერთს

$$\{n(z)\cdot u'(z)\}^{-}=f_3'(z),\ \{n(z)\cdot u''(z)\}^{-}=f_3''(z),$$

$$\left\{\mathrm{P}^{(1)}(\partial,n)U(z)-n(z)\left(n(z)\cdot\mathrm{P}^{(1)}(\partial,n)U(z)\right)\right\}^{-}=F'(z), \tag{25}$$

$$\left\{\mathrm{P}^{(2)}(\partial,n)U(z)-n(z)\left(n(z)\cdot\mathrm{P}^{(2)}(\partial,n)U(z)\right)\right\}^{-}=F''(z),\ z\in\partial\Omega,$$

ან
$$\left\{n(z)\cdot\mathrm{P}^{(1)}(\partial,n)U(z)\right\}^{-}=f_3'(z),\ \left\{n(z)\cdot\mathrm{P}^{(2)}(\partial,n)U(z)\right\}^{-}=f_3''(z),$$

$$\{u'(z)-n(z)(n(z)\cdot u'(z))\}^{-}=F'(z), \tag{26}$$

$$\{u''(z)-n(z)(n(z)\cdot u''(z))\}^{-}=F''(z),\ z\in\partial\Omega,$$

უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში $U(x)$ ვექტორი აკმაყოფილებს ქრობის შემდეგ პირობებს:

ა) $U_j(x)=O\left(|x|^{-1}\right),\ \partial_k U_j(x)=O\left(|x|^{-2}\right),$

$k=1,2.3,\ j=1,2,\ldots,6,\ x_3>0,\qquad |x|\to\infty,$

ბ) $U_j(x)=o(1),\ \partial_k U_j(x)=o\left(|x|^{-1}\right),$ (27)

$k=1,2,\ j=1,2,\ldots.,6,\ x_3=0,\qquad |x|\to\infty,$

სადაც $F'=\left(f_1',f_2',F_3'\right)^{\mathrm{T}}$, $F''=\left(f_1'',f_2'',F_3''\right)^{\mathrm{T}}$, $f_j',\ f_j'',\ j=1,2,3,\ F_3',\ F_3'',$ $\partial\Omega$ საზღვარ-ზე მოცემული ფუნქციებია, $n(z)$ არის $z\in\partial\Omega$ წერტილზე გამავალი Ω^{-} არის მიმართ შიგა ნორმალის ორტი, $x=(x_1,x_2,x_3)$, $z=(z_1,z_2,0)$, $\partial_k=\partial/\partial x_k$, $k=1,2.3.$

(M) ამოცანა (25) სასაზღვრო პირობით აღვნიშნოთ $(\mathrm{M}\cdot\mathrm{III})$ სიმბოლოთი, ხოლო (26) სასაზღვრო პირობით კი $(\mathrm{M}\cdot IV)$ სიმბოლოთი.

ამოცანა $(\tilde{\mathrm{M}})$. ვიპოვოთ Ω^{-} არეში (1) სისტემის ისეთი რეგულარული $U=(u',u'')^{\mathrm{T}}$ ამონახსნი, რომელიც $\partial\Omega$ საზღვარზე აკმაყოფილებს შემდეგ სასაზღვრო პირობებს

$$\{n(z)\cdot u'(z)\}^{-} = f_3'(z), \{n(z)\times rotu'(z)\}^{-} = f'(z),$$

$$\{n(z)\cdot u''(z)\}^{-} = f_3''(z), \{n(z)\times rotu''(z)\}^{-} = f''(z), \ z\in\partial\Omega, \tag{28}$$

სადაც $f' = \left(f_1', f_2', F_3'\right)^{\mathsf{T}}$, $f'' = \left(f_1'', f_2'', F_3''\right)^{\mathsf{T}}$, $f_j', \ f_j'', \ j=1,2,3, \ F_3', \ F_3''$, საზღვარზე მოცემული ფუნქციებია, $n(z)$ არის $z\in\partial\Omega$ წერტილში გამავალი Ω^{-} არის მიმართ შიგა ნორმალის ორტი.

უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში $U=(u', u'',)^{\mathsf{T}}$ ვექტორი აკმაყოფილებს ქრობის (27) პირობას.

ამოცანა $(\tilde{\mathrm{N}})$. ვიპოვოთ Ω^{-} არეში (2)-(3) სისტემის ისეთი რეგულარული $U=(u,\vartheta_1,\vartheta_2)^{\mathsf{T}}$ ამონახსნი, რომელიც $\partial\Omega$ საზღვარზე აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს

$$\{n(z)\cdot u(z)\}^{-} = f_3(z), \ \{n(z)\times rotu(z)\}^{-} = f(z), \ z\in\partial\Omega, \tag{29}$$

$$\{\vartheta_1(z)\}^{-} = f_4(z), \ \{\vartheta_2(z)\}^{-} = f_5(z), \ z\in\partial\Omega \tag{30}$$

ან

$$\left\{\frac{\partial\vartheta_1(z)}{\partial n(z)}\right\}^{-} = f_4(z), \ \left\{\frac{\partial\vartheta_2(z)}{\partial n(z)}\right\}^{-} = f_5(z), \ z\in\partial\Omega, \tag{31}$$

სადაც $f' = (f_1, f_2, F_3)^{\mathsf{T}}$, $F_3, \ f_j, \ j=1,2,.....,5$ საზღვარზე მოცემული ფუნქციებია, $n(z)$ არის $z\in\partial\Omega$ წერტილში გამავალი Ω^{-} არის მიმართ შიგა ნორმალის ორტი.

უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში $U(x)$ ვექტორი აკმაყოფილებს ქრობის შემდეგ პირობებს

ა) $u(x) = O\left(|x|^{-1}\right), \ \partial_k u(x) = O\left(|x|^{-2}\right), \ k=1,2.3,$

$\partial_k\vartheta_j(x) = O\left(|x|^{-2}\right), \ \vartheta_j(x) = O\left(|x|^{-1}\right), \ j=1,2, \ k=1,2.3,$

$x_3>0$, $|x|\to\infty,$ (32)

ბ) $u(x) = o(1), \ \partial_k u(x) = o\left(|x|^{-1}\right), \ k=1,2$,

$\vartheta_j(x) = o(1), \ \partial_k\vartheta_j(x) = o\left(|x|^{-1}\right), \ k, \ j=1,2. \ x_3=0$, $|x|\to\infty.$

$(\tilde{\mathrm{N}})$ ამოცანა (29)-(30) სასაზღვრო პირობებით აღვნიშნოთ $(\tilde{\mathrm{N}}\cdot\mathrm{I})$ სიმბოლოთი, ხოლო (29) და (31) სასაზღვრო პირობებით $(\tilde{\mathrm{N}}\cdot\mathrm{II})$ სიმბოლოთი.

გრინის ფორმულების გამოყენებით დამტკიცებულია განხილული ამოცანების ამონახსნის ერთადერთობის თეორემები:

თეორემა 3.1. თუ $(M\cdot \mathrm{III})$ და $(\mathrm{M}\cdot IV)$ ამოცანებს გააჩნიათ ამონახსნი, მაშინ იგი ერთადერთია.

თეორემა 3.2.თუ $(\tilde{\mathrm{M}})$ ამოცანას გააჩნია ამონახსნი, მაშინ იგი ერთადერთია.

თეორემა 3.3.თუ$(\tilde{\mathrm{N}})$ ამოცანას გააჩნია ამონახსნი, მაშინ იგი ერთადერ-თია.

დასმული ამოცანების ამოხსნები მიღებულია კვადრატურებში სა-საზღვრო ვექტორ-ფუნქციების საშუალებით. ამოცანების ამოხსნისას არსე-ბითად ვსარგებლობთ ჰარმონიული ფუნქციებისათვის დირეხლესა და ნეიმანის ამოცანების ამოხსნით ნახევარსივრცისათვის.

$(M.III)$ ამოცანის ამონახსნს აქვს შემდეგი სახე

$$U(x)=\frac{1}{2\pi}\int_{-\infty}^{+\infty}\!\!\int K(x,y)f(y)dy, \tag{33}$$

$$K(x,y)=\begin{bmatrix}K^{(1)}(x,y) & K^{(2)}(x,y)\\ K^{(3)}(x,y) & K^{(4)}(x,y)\end{bmatrix}_{6\times6}, \qquad K^{(p)}(x,y)=\left[K_{lj}^{(p)}(x,y)\right]_{3\times3},$$

$$p=1,2,3,4,\quad f=(f',f'')^{\mathrm{T}},\quad f'=(f_1',f_2'f_3')^{\mathrm{T}},\quad f''=(f_1'',f_2'',f_3'')^{\mathrm{T}},$$

$$K_{lj}^{(p)}(x,y)=(1-\delta_{l3})(1-\delta_{3j})\left[\frac{1}{d_1}\left(-a_2\delta_{1p}+c(\delta_{2p}+\delta_{3p})-a_1\delta_{4p}\right)\delta_{lj}\frac{1}{r}-\beta_p'\frac{\partial^2 r}{\partial x_l\partial x_j}\right]+$$
$$+\delta_{3j}(1-\delta_{l3})\left[-a_p''\frac{\partial}{\partial x_l}\frac{1}{r}+\beta_p''x_3\frac{\partial^2}{\partial x_l\partial x_3}\frac{1}{r}\right]-\delta_{l3}(1-\delta_{3j})\beta_p'x_3\frac{\partial}{\partial x_j}\frac{1}{r}-$$
$$-\delta_{l3}\delta_{3j}\left[(\delta_{1p}+\delta_{4p})\frac{\partial}{\partial x_3}\frac{1}{r}-\beta_p''x_3\frac{\partial^2}{\partial_3^2}\frac{1}{r}\right],\ p=1,2,3,4,$$

სადაც $\beta_l',\beta_l'',\ l=1,2,3,4,$ გარკვეული მუდმივებია

ძაბვის ვექტორს აქვს შემდეგი სახე

$$\mathrm{T}(\partial,n)U(x)=\frac{1}{2\pi}\int_{-\infty}^{+\infty}\!\!\int L(x,y)f(y)dy, \tag{34}$$

სადაც

$$L(x,y)=\begin{bmatrix} L^{(1)}(x,y) & L^{(2)}(x,y) \\ L^{(3)}(x,y) & L^{(4)}(x,y) \end{bmatrix}_{6\times 6}, \qquad L^{(l)}(x,y)=\left[L^{(l)}_{k\,j}(x,y)\right]_{3\times 3}, \qquad l=1,2,3,4,$$

$$L^{(l)}_{k\,j}(x,y)=(1-\delta_{k3})(1-\delta_{3j})\left[-(\delta_{1l}+\delta_{4l})\delta_{kj}\frac{\partial}{\partial x_3}\frac{1}{r}-\gamma_l x_3\frac{\partial^2}{\partial x_k \partial x_j}\frac{1}{r}\right]+$$

$$+\delta_{3j}(1-\delta_{k3})\delta_l\, x_3\frac{\partial^3}{\partial x_k \partial x_3^2}\frac{1}{r}+\delta_{k3}(1-\delta_{3j})\left[(\gamma_l+\eta_l)\frac{\partial}{\partial x_j}\frac{1}{r}-\gamma_l x_3\frac{\partial^2}{\partial x_j \partial x_3}\frac{1}{r}\right]+$$

$$+\delta_{k3}\delta_{3j}\left[\left(\frac{4\lambda_5 d_3}{d_1}\xi'_l-\delta_l\right)\frac{\partial^2}{\partial x_3^2}\frac{1}{r}+\delta_l x_3\frac{\partial^3}{\partial_3^3}\frac{1}{r}\right], \qquad l=1,2,3,4,$$

$\delta_l,\gamma_l,\eta_l,\varsigma_l,d_3$ გარკვეული მუდმივებია.

თუ $(\mathrm{M}\cdot\mathrm{III})$ ამოცანის სასაზღვრო ვექტორ-ფუნქციებს მოვთხოვთ შემდეგ პირობებს:

$$f_j'(z), f_j''(z)\in C^{0,\alpha}(\partial\Omega), \quad f_3'(z), f_3''(z)\in C^{1,\alpha}(\partial\Omega), \quad j=1,2, \quad 0<\alpha<1,$$

$$|f_j'(z)|<\frac{\mathrm{A}}{1+|z|^2}, \qquad |f_j''(z)|<\frac{\mathrm{A}}{1+|z|^2}, \quad j=1,2,$$

$$|f_3'(z)|<\frac{\mathrm{A}}{1+|z|}, \qquad |f_3''(z)|<\frac{\mathrm{A}}{1+|z|}, \quad z\in\partial\Omega, \quad \mathrm{A}=const>0,$$

მაშინ $U(x)$ ვექტორი, წარმოდგენილი (41) ფორმულით, წარმოადგენს $(\mathrm{M}\cdot\mathrm{III})$ ამიცანის რეგულარულ ამონახსნს, რომელსაც უსასრულოდ დაშორებული წერტილის მახლობლობაში აქვს შემდეგი ასიმპტოტიკა

$$u_j'(x), \quad u_j''(x)=O\left(|x|^{-1}\ln|x|\right), \quad j=1,2, \qquad u_3'(x), \quad u_3''(x)=O\left(|x|^{-1}\right),$$

$$\partial_k u_j'(x), \quad \partial_k u_j''(x)=O\left(|x|^{-2}\right), \quad j=1,2, \qquad \partial_k u_3'(x), \quad \partial_k u_3''(x)=O\left(|x|^{-2}\ln|x|\right), \quad k=1,2,3.$$

$(\mathrm{M}\cdot IV)$ამოცანის ამონახსნს შემდეგი სახე

$$U(x)=-\frac{1}{2\pi}\int_{-\infty}^{+\infty}\!\!\int \widetilde{K}(x,y)f(y)dy, \tag{35}$$

სადაც $\widetilde{K}(x,y)=\begin{bmatrix} \widetilde{K}^{(1)}(x,y) & \widetilde{K}^{(2)}(x,y) \\ \widetilde{K}^{(3)}(x,y) & \widetilde{K}^{(4)}(x,y) \end{bmatrix}_{6\times 6}, \qquad \widetilde{K}^{(p)}(x,y)=\left[\widetilde{K}^{(p)}_{l\,j}(x,y)\right]_{3\times 3},$

$$p=1,2,3,4, \qquad f=(f',f'')^{\mathrm{T}}, \qquad f'=(f_1', f_2' f_3')^{\mathrm{T}}, \qquad f''=(f_1'', f_2'', f_3'')^{\mathrm{T}},$$

$$\widetilde{K}_{lj}^{(p)}(x,y)=(1-\delta_{l3})(1-\delta_{3j})\left[(\delta_{1p}+\delta_{4p})\delta_{lj}\frac{\partial}{\partial x_3}\frac{1}{r}+\eta_{1p}\frac{\partial^3 r}{\partial x_l\partial x_j\partial x_3}\right]+$$
$$+\delta_{3j}(1-\delta_{l3})\eta_{2p}x_3\frac{\partial}{\partial x_l}\frac{1}{r}+\delta_{l3}(1-\delta_{3j})\left(\eta_{3p}\frac{\partial}{\partial x_l}\frac{1}{r}+\eta_{1p}x_3\frac{\partial^2}{\partial x_j\partial x_3}\frac{1}{r}\right)+$$
$$+\delta_{l3}\delta_{3j}\left(\eta_{4p}\frac{1}{r}+\eta_{2p}x_3\frac{\partial}{\partial x_3}\frac{1}{r}\right),\quad p=1,2,3,4,$$

$\beta_l',\beta_l'',\eta_{lp}$, გარკვეული მუდმივებია.

ძაბვის ვექტორს აქვს შემდეგი სახე

$$\mathrm{T}(\partial,n)U(x)=-\frac{1}{2\pi}\int\!\!\int_{-\infty}^{+\infty}\widetilde{L}\ (x,y)f(y)dy,$$

სადაც

